



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



16/06/2016

20-07-4-201606161235



N 20

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №20
2016 წლის 16 ივნისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №13 დადგენილებაში ([www. matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 30/03/2016წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.016264) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დადგენილება, გარდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის N13 დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის“ 23-ე მუხლისა, ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

2. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 მუხლი:

„მუხლი 5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის N13 დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის“ 23-ე მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო